საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-375

29/04/2020

ქ. თბილისი

„სს „RMG Copper“-ის სპილენძ–პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან გამოჟონილი დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ბოლნისის მუნიციპალიტეტში სს „RMG Copper“-ის სპილენძ–პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან გამოჟონილი დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N31 (28.04.2020წ.);
2. სს „RMG Copper“-მა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N31 (28.04.2020 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „RMG Copper“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „RMG Copper“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი